



საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

N17 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული საგანგებო ვიზიტის შემდგომი ანგარიში

(2020 წლის 30 აპრილი, 1 მაისი, 7 მაისი)

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

2020

სარჩევი

1. შესავალი	4
2. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ზომები და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა	6
2.1. განსაკუთრებული პირობების შემოღება	6
2.2. მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობის სკრინინგი	8
2.3. პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით	9
2.4. ზოგადი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა	9
2.5. საცხოვრებელი პირობები და გადატვირთულობა	11
2.6. მსჯავრდებულების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მომარაგება და ინფექციის კონტროლის საკითხებზე ინფორმირება	13
2.7. სანიტარული მდგომარეობა საექიმო-სამედიცინო პუნქტში	13
2.8. მიღებული ზომების შეფასება და დამატებით გასატარებელი ღონისძიებები	13
3. ეპიდემიოლოგიური ზომების გავლენა მსჯავრდებულთა უფლებებზე	16
3.1. მოპყრობა, წესრიგი და უსაფრთხოება	16
3.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები	19
3.3. კონტაქტი გარე სამყაროსთან	20
3.4. სამედიცინო მომსახურება	23
3.4.1. სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობა	23
3.4.2. სამედიცინო რეფერალი	25
3.4.3. ფსიქიატრიული დახმარება	26
3.5. კვება	26
4. პერსონალი	27

1. შესავალი

2020 წლის 30 აპრილს, ასევე 1 და 7 მაისს სახალხო დამცველმა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა N17 პენიტენციურ დაწესებულებაში საგანგებო ვიზიტი განხორციელეს. ვიზიტის მიზანი იყო შეგვეფასებინა პენიტენციურ დაწესებულებებში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მიღებული ზომები და ამ ზომების გავლენა მსჯავრდებულთა უფლებებზე, მათი აუცილებლობა და პროპორციულობა, ასევე პერსონალის სამუშაო პირობების თაობაზე ინფორმაციის მიღება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი ხელმძღვანელობს გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტით¹, სადაც თავმოყრილია რეკომენდაციები პანდემიის პირობებში არასათანადო მოპყრობისაგან დასაცავად. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრევენციის ეროვნულმა მექანიზმებმა კორონავირუსის პანდემიის დროსაც უნდა განაგრძონ მანდატის შესრულება. ასევე, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაც აღნიშნავს, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის ღონისძიებებმა არ უნდა დააბრკოლოს მონიტორინგის განხორციელება დახურულ დაწესებულებებში.² მონიტორინგის ვიზიტის მიმდინარეობისას, სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი ჯგუფურად და ინდივიდუალურად გაესაუბრა მსჯავრდებულებს, დაწესებულების თანამშრომლებს, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაეცნო დაწესებულებაში წარმოებულ დოკუმენტაციას.

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ მონიტორინგის ვიზიტების განხორციელებამდე, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა განაახლა მუშაობის სტრატეგია და მოახდინა სამუშაო მეთოდოლოგიის არსებულ გამოწვევებთან ადაპტირება. განისაზღვრა პანდემიის პირობებში უსაფრთხო მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების წესები და წევრებს მიეცათ შესაბამისი მითითებები. შექმნილ იქნა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები³ და წევრებს განემარტათ მათი გამოყენების წესები. ამ ზომების მიღების მიზანია მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების დროს ახალი კორონავირუსის გავრცელების რისკის მინიმიზაცია, თანამშრომლებისა და დაწესებულებაში მყოფი პირების დაცვა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ პენიტენციური დაწესებულებების

¹ დოკუმენტის არაოფიციალური ქართული თარგმანი ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3aWeCsl> > [ბოლოს ნანახია: 15.04.2020].

² ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/2SAyECl> > [ბოლოს ნანახია: 15.04.2020].

³ დამცავი საშუალებების ნაწილი გადმოგვცა გაეროს განვითარების პროგრამისა და კომპანია „ბადაგონის“ მიერ. გვსურს მათ დიდი მადლობა გადავუხადოთ, ადამიანის უფლებების დაცვაში შეტანილი წვლილისთვის.

თანამშრომლები ხელს უწყობდნენ მონიტორინგის ჯგუფს საქმიანობის უსაფრთხოდ და გაუმართლებელი შეზღუდვების გარეშე განხორციელებაში.

ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი განსაკუთრებული ვითარება საგანგებო საპასუხო ნაბიჯებს მოითხოვს. როგორც ზემოთ აღინიშნა, N17 დაწესებულებაში განხორციელდა საგანგებო ვიზიტები, რაც განაპირობებს საგანგებო რეაგირების საჭიროებას. სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს ანგარიშების მომზადებისა და ადრესატისათვის გაგზავნის დამკვიდრებული პრაქტიკის შექმნილ ვითარებასთან ადაპტირებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრევენციის ეროვნულ მექანიზმსა და ანგარიშის ადრესატებთან ინფორმაციის სწრაფი გაცვლა და გამოვლენილ გამოწვევებზე მყისიერი რეაგირება.

მონიტორინგის ვიზიტების შეზღუდული ხასიათიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს და სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არ გააჩნია წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების სრულყოფილი შემოწმების შედეგების წარმოდგენის პრეტენზია. მიუხედავად იმისა, რომ სადაც ეს შესაძლებელი და გონივრულია, სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი ეხება იმ სისტემურ საკითხებს, რომელიც 2019 წლის წლიურ ანგარიშში არის მოცემული, წინამდებარე ანგარიში უპირატესად ორიენტირებულია ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად მიღებული ზომების მსჯავრდებულთა უფლებებზე და დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებაზე გავლენის შეფასებაზე.

მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, სპეციალური პრევენციული ჯგუფი დადებითად აფასებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გამოჩენილ სიფრთხილეს და COVID-19-ის გავრცელების პრევენციის კუთხით გატარებულ ზომებს, ასევე იმ ფაქტს, რომ დაწესებულებაში ახალი კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევა არ დაფიქსირებულა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ თანამშრომელთა თავდადება, რომლებსაც ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დახურული დაწესებულებები არ დაუტოვებიათ და სრული იზოლაციის პირობებში აგრძელებენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მიგვაჩნია რომ ზუსტი, გრძელვადიანი, კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური პროგნოზის გაკეთების შეუძლებლობის ფონზე, ახალი კორონავირუსისგან დაცულობის უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად (ასევე, ვირუსის დაწესებულებაში შეღწევის სცენარისთვის მზადყოფნის გასაძლიერებლად), გასატარებელია დამატებითი ღონისძიებები. მოსამზადებელია ინფექციის გავრცელების რისკების შეფასების დოკუმენტი და მათი დაძლევის გეგმა. ამ პროცესში პატიმრების უფლებებზე დაწესებული ყველა შეზღუდვა განხილულ უნდა იქნას აუცილებლობისა და პროპორციულობის ჭრილში. სადაც კონკრეტული

უფლების შეზღუდვა გარდაუვალი იქნება, მნიშვნელოვანია მოიძებნოს ამ შეზღუდული უფლების საკომპენსაციო საშუალება. ჩვენი შეფასებით, ინფექციის კონტროლის რაც უფრო ეფექტიანი ზომები იქნება გატარებული დაწესებულების შიგნით, მით ნაკლები ხარისხით იქნება საჭირო დაწესებულების იზოლირება გარე სამყაროსთან, რაც ხელს შეუწყობს პაციენტების უფლებების დაცვას, დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას და დაწესებულების თანამშრომელთა ნაკლებ დატვირთვას.

2. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ზომები და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა

2.1. განსაკუთრებული პირობების შემოღება

„პენიტენციურ დაწესებულებებში განსაკუთრებული პირობების შემოღების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 5 მარტის N4109 ბრძანების თანახმად, განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეუჩერდათ „პაციმრობის კოდექსით“ განსაზღვრული, საოჯახო, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნებით სარგებლობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, აგრეთვე განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება. ასევე განისაზღვრა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ახალშემოსული ბრალდებული/მსჯავრდებული განთავსებულ იქნეს სხვა ბრალდებულებისგან/მსჯავრდებულებისგან განცალკევებით. ამასთან, დაწესებულებაში ამანათების მიღების პროცესი დროებით შეჩერდა. ეს შეზღუდვები სახალხო დამცველისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის N17 დაწესებულებაში ვიზიტის დროს⁴ კვლავ მოქმედებდა.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს, 2020 წლის 18 მაისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც, 20 მაისიდან პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან განახლდება ყველა სახის ამანათების შეგზავნა, მათ შორის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პირადი მოხმარების საგნების, საკვები პროდუქტების და ა.შ. გავრცელებული ინფორმაციით, ყველა ნივთი, რაც ამანათის ან საფოსტო გზავნილის სახით მიწოდებული იქნება პენიტენციურ დაწესებულებებში გაივლის დეზინფექციას (გარდა საკვები პროდუქტებისა).

⁴ 2020 წლის 30 აპრილი, 1 მაისი, 7 მაისი.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, „სპეციალურად ამ მიზნით, პენიტენციურ სამსახურში შეიქმნა მობილური ჯგუფი, რომელიც ყველა ამანათის შიგთავსს დაამუშავებს საერთაშორისო სერთიფიკატის მქონე სპეციალური ხსნარით, რომელიც უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. დეზინფექციის ამ სამუშაოს ჩატარებას გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომაც, გზავნილს პენიტენციურ დაწესებულებაში მიწოდების მომენტიდან მისი პატიმრისთვის ჩაბარებას ჩვეულებრივზე რამდენიმე საათით მეტი დრო შეიძლება დასჭირდეს. სპეციალური პენიტენციური სამსახური, მიუხედავად შეზღუდვების მოხსნისა, მომავალშიც გააგრძელებს პრევენციულ ღონისძიებებს და ამანათების დეზინფექციის გადაწყვეტილებაც ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია“.⁵

მისასალმებელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 22 მაისს გაკეთებული განცხადება, სადაც საუბარია 25 მაისიდან პენიტენციურ სისტემაში ხანმოკლე პაემნების მინის ბარიერის პირობებში აღდგენის შესახებ. ამასთან, განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაწესებულებაში მისული სტუმარი ვალდებული იქნება, დაემორჩილოს იმ სანიტარულ წესებს, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედებს.⁶

სახალხო დამცველი ეპიდემიოლოგებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ COVID-19-ის ახალი ტალღების საფრთხიდან გამომდინარე, რამაც შესაძლებელია მომავალშიც გამოიწვიოს შეზღუდვების დაწესება, აუცილებელია არსებობდეს კონკრეტული გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დაწესებული შეზღუდვების ალტერნატიული მეთოდებით კომპენსირების საკითხი, მათ შორის, ამანათის მიღების პროცესის შეჩერებით გამოწვეული დანაკლისის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

პენიტენციურ დაწესებულებებში განსაკუთრებული პირობების შემოღების გამო, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაწესებულებების სამართლებრივი რეჟიმის და უსაფრთხოების განყოფილებების თანამშრომლების დაწესებულებაში განთავსებისა და დაწესებულებიდან გაუსვლელად მუშაობის შესახებ. თანამშრომლები მორიგეობენ დღეგამოშვებით. გარდა ამისა, სოციალურ განყოფილებასა და სხვადასხვა ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლებისთვის სამუშაო სივრცე დაწესებულების გარე პერიმეტრზე მოეწყო. საჭიროების შემთხვევაში, ეს თანამშრომლები მსჯავრდებულებს ხანმოკლე პაემნის ოთახში შუშის ბარიერს მიღმა ხვდებიან.

⁵განცხადების სრული ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < <https://bit.ly/3c0t0kf> > [ბოლოს ნანახია 25.05.2020].

⁶განცხადების სრული ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < <https://bit.ly/3geZxq9> > [ბოლოს ნანახია 25.05.2020].

დაწესებულების შესასვლელში ხელმისაწვდომია სადეზინფექციო სითხე, მოწყობილია დეზობარიერი და დაწესებულებაში შემსვლელ პირებს, თერმოსკრინინგის შემდეგ, გადაეცემათ ხალათები, პირბადეები, ხელთათმანები, ჩაჩები და ბახილები. ზემოთ აღნიშნული ზომების მიღების მიზანს დაწესებულებებში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენცია წარმოადგენს.

2.2. მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობის სკრინინგი

N17 დაწესებულებაში სხვა დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა გადმოყვანის შემთხვევები განსაკუთრებული პირობების შემოღებამდე პერიოდთან შედარებით არსებითად შემცირდა. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გადმოჰყავთ მხოლოდ ის მსჯავრდებულები, რომლებსაც არ აღენიშნებათ რაიმე საეჭვო სიმპტომი. ახალ შემოსახლებული მსჯავრდებული (სხვა დაწესებულებიდან გადმოყვანილი - ე.წ. მიმღები ციხიდან - #8 ან #2 დაწესებულება) თავდაპირველად 2-3 დღით თავსდება დაწესებულების დახურული ტიპის⁷ (V) კორპუსში. ამ პერიოდში, მთავარი ექიმის განმარტებით, ხდება ტემპერატურის გაზომვა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება. აღსანიშნავია, რომ ასეთი განთავსება განსაკუთრებული პირობების შემოღებამდეც დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენდა.

რაც შეეხება დაწესებულებაში უკვე მოთავსებულ მსჯავრდებულებს, მათ არ უტარდებათ სკრინინგი (მათ შორის თერმოსკრინინგი) ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით. დაწესებულების სამედიცინო პერსონალის განმარტებით, ამის აუცილებლობა არ არის, რამდენადაც პატიმრებს გარე სამყაროსთან კონტაქტი არ აქვთ. მათივე განცხადებით, როგორც წესი, ცხელებიანი მსჯავრდებული თავად მიმართავს სამედიცინო პერსონალს და მას ადგილზე გაეწევა სამედიცინო დამხარება ან თუ ადგილზე ვერ მოხერხდება მაღალი ტემპერატურის მართვა, მსჯავრდებულს გადაიყვანენ სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს ტემპერატურასთან ერთად აღენიშნება ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადებისთვის დამახასიათებელი სხვა სიმპტომები, პაციენტის იზოლირება და გადაუდებელი წესით სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გადაყვანა მოხდება.⁸

⁷ აღნიშნულ კორპუსში სულ 25 საკანია. აქედან 5 საკანში ხორციელდება ვიდუო მეთვალყურეობა. ამ საკანებში ასევე თავსდებიან მოშიმშილე პირები ან ის მსჯავრდებულები, რომლებსაც დისციპლინური სახდელის სახით შეფარდებული აქვთ სამარტოო საკანში მოთავსება.

⁸ სამედიცინო პერსონალის განმარტებით, კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებულებაში შემოღებული განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში ახალი კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომები არცერთ მსჯავრდებულს არ ჰქონია.

აქვე აღსანიშნავია, რომ ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით რამე დამატებითი ზომები დაწესებულებაში მყოფ ხანდაზმულ მსჯავრდებულებთან და მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებთან, როგორც განსაკუთრებულ რისკ ჯგუფთან, მიმართებით არ მიუღიათ⁹. ამ პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის საგანგებო მონიტორინგი არ მიმდინარეობს.

2.3. პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ დაწესებულების არასამედიცინო პერსონალი უზრუნველყოფილია პირბადით, სახის დამცავი ფარითა და ხელთათმანებით, ხოლო სამედიცინო პერსონალი დამატებით - ხალათით, ჩაჩითა და ბახილებით, რაც ვირუსის გადაცემის რისკს ამცირებს. თუმცა, თანამშრომლებს ინფექციის კონტროლთან და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული სწავლება არ ჩატარებიათ.¹⁰

2.4. ზოგადი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა

გარდა თანამშრომლების მიერ ინფექციის კონტროლის მოთხოვნების მკაცრი დაცვისა, მნიშვნელოვანია დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იყოს კეთილსაიმედო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ეს საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ ახალი კორონავირუსის გავრცელების კუთხით, არამედ ზოგადად სხვა ნებისმიერი გადამდები დაავადების პრევენციის თვალსაზრისით.

პერსონალის განმარტებით, განსაკუთრებული პირობების ამოქმედების შემდეგ დაწესებულებაში ტარდება სპეციალური დეზინფექცია. 29 მარტის შემდგომ პერიოდში ასეთი დეზინფექცია სამჯერ ჩატარდა. გარდა ამისა, 2 კვირაში ერთხელ ხდება ყველა სივრცის დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ მსჯავრდებულები უარს აცხადებენ საკანში შესაბამისი სამუშაოების ჩატარებაზე, მაშინ საკანში შესაბამისი სამუშაოები არ ტარდება.

საკნების და სხვა სივრცეების ზოგადი დასუფთავების პრაქტიკა არ შეცვლილა. საკნებს თვითონ მსჯავრდებულები ალაგებენ, ხოლო საერთო სივრცეებს - სამეურნეო ნაწილში დასაქმებული მსჯავრდებულები.

⁹ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით (მიღებულია 2020 წლის 25 მარტს), მე-9 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტები. არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < <https://bit.ly/2z123nL> > [ბოლოს ნანახია 15.05.2020]. ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < <https://bit.ly/2AnakxR> > [ბოლოს ნანახია 15.05.2020].

¹⁰ „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არასწორი გამოყენების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია დაწესებულების თანამშრომლებმა გაიარონ ადეკვატური სწავლება“, Preparedness, prevention and control of COVID-19 in prisons and other places of detention (Interim guidance), WHO, 2020 წლის მარტი, გვ.13. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/2SAyECJ> [ბოლოს ნანახია 14.05.2020].

ზოგადად მსჯავრდებულებს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა აქვთ,¹¹ თუმცა კვლავ პრობლემად რჩება დაწესებულების მიერ პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით სრულყოფილი მომარაგება. დაწესებულების ხარჯზე მსჯავრდებულებს თვეში ერთხელ გადაეცემათ მხოლოდ საპონი და სარეცხი ფხვნილი, ხოლო დანარჩენ საშუალებებს, როგორცაა კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, ტუალეტის ქაღალდი და ა.შ. მსჯავრდებულები მაღაზიაში ყიდულობენ. უქონელ მსჯავრდებულებს კი სხვა მსჯავრდებულები ეხმარებიან, რაც ჰუმანური ქმედებაა, მაგრამ უქონელ მსჯავრდებულებს სხვა მსჯავრდებულებზე დამოკიდებულს ხდის. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, შექმნილი ვითარება პრობლემურია და აუცილებელია, ყველა მსჯავრდებული სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფილი იყოს პირადი ჰიგიენის დაცვის ყველა აუცილებელი საშუალებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ ამანათების მიღების შეჩერებამ ტანსაცმლის ხელმისაწვდომობის კუთხით პრობლემა გამოიწვია. თუ თეთრეულის შემთხვევაში მსჯავრდებულების მომარაგება დაწესებულების მიერ ხდება და ასევე, არის მაღაზიაში შეძენის ალტერნატივა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს ტანსაცმლის მარაგი დაწესებულებას არ ჰქონდა და მაღაზიაში მხოლოდ წინდების და საცვლების შეძენა იყო შესაძლებელი. მართალია, 2020 წლის 20 მაისიდან ამანათების მიღების პროცესი აღდგა, მაგრამ აუცილებელია აღნიშნული პრობლემის მომავალში განმეორების თავიდან აცილება. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია რომ თავისუფლება აღკვეთილ პირთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს საშუალება მისცენ კვლავაც გააგრძელონ საკვებისა და საჭირო ნივთების მიწოდება დაწესებულებებში, ადგილობრივი პრაქტიკის შესაბამისად და აუცილებელი დამცავი ზომების გათვალისწინებით.¹²

იმ შემთხვევაში, თუ მომავალში, ეპიდემიოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, გარდაუვალი იქნება ამანათების მიღების შეჩერება, დაწესებულები შეზღუდვის საკომპენსაციოდ, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა თვითონ უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებულებისთვის სუფთა¹³ და სეზონის შესაფერისი ტანსაცმლის დაუყოვნებლივი მიწოდება.¹⁴

¹¹ მსჯავრდებულები თმებს თვითონ იჭრიან ან ერთმანეთს ეხმარებიან. დაწესებულებაში ხელმისაწვდომია საპარსი მანქანები. სამრეცხაო მუშაობს შეუფერხებლად.

¹² წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით (მიღებულია 2020 წლის 25 მარტს), მე-9 პუნქტის „I“ ქვეპუნქტი.

¹³ „ნელსონ მანდელას წესების“ მე-19 წესის მე-2 პუნქტში ხაზგასმულია ჰიგიენური მოსაზრებებიდან გამომდინარე ტანსაცმლის სისუფთავის უზრუნველყოფის მნიშვნელობა.

¹⁴ „პატიმრობის კოდექსის“ 22-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია პატიმარი უზრუნველყოს სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლით/ფეხსაცმლით, რომლის ფორმაც არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას.

2.5. საცხოვრებელი პირობები და გადატვირთულობა

ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში არის დიდი, მრავალადგილიანი საკნები და ფიზიკური დისტანცირება, ასევე სანიტარული პირობების სათანადო დაცვა შეუძლებელია. ჯერ კიდევ 2015 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში, სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი ანგარიშში უთითებდა, რომ N17 დაწესებულებაში კვლავ იყო ე.წ. „ბარაკის“ ტიპის საცხოვრებლები, სადაც არ არის უზრუნველყოფილი პრივატული გარემო, მწვეკელი და არამწვეკელი მსჯავრდებულები ერთ სივრცეში ცხოვრობენ, რთულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და მაღალია ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი.¹⁵ ანალოგიურ ვითარებაზე იყო საუბარი პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშში.¹⁶ სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს აღნიშნული პრობლემა მოგვარებული არ იყო.

მონიტორინგის ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებას ერიცხებოდა 1702 მსჯავრდებული, აქედან 2 მსჯავრდებული გადაყვანილი იყო სამკურნალო დაწესებულებაში. მსჯავრდებულები სამ იზოლირებულ ტერიტორიაზე და ოთხ საცხოვრებელ კორპუსში არიან განაწილებული. ყველაზე დიდ საკანში 32 მსჯავრდებულია მოთავსებული. დაწესებულებაში ასევე არის 30, 24, 18, 16, 10 და 6 მსჯავრდებულის განსათავსებლად განკუთვნილი საკნები. საკნებში მსჯავრდებულების განაწილება-განთავსების პრაქტიკა წლების განმავლობაში უცვლელია. როგორც დაწესებულების დირექტორი განმარტავს, საკნებში განაწილებისას ითვალისწინებენ მსჯავრდებულების სურვილს და უსაფრთხოების საკითხებს.

დაწესებულებაში არის 207 საკანი. საკანში მსჯავრდებულების რაოდენობისა და თითოეული მსჯავრდებულის პირადი საცხოვრებელი სივრცის შესახებ მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

- 1.5 კვ.მ-დან 2 კვ.მ-მდე ფართი თითო მსჯავრდებულზე მოდის 2 საკანში, რომელთაგან ერთ საკანში იმყოფება 22 მსჯავრდებული, ხოლო მეორეში - 18 მსჯავრდებული.
- 2 კვ.მ-დან 2.5 კვ.მ-მდე ფართი თითო მსჯავრდებულზე მოდის 9 საკანში, რომელთაგან 1 საკანში იმყოფება 32 მსჯავრდებული, 2 საკანში - 30-30 მსჯავრდებული, 1 საკანში 20 მსჯავრდებული, 1 საკანში - 19 მსჯავრდებული, 3 საკანში - 18-18 მსჯავრდებული და 1 საკანში - 8 მსჯავრდებული.

¹⁵ ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 21. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://bit.ly/3bAjn6G>> [ბოლოს ნანახია 15.05.2020].

¹⁶ პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიში, 2019, გვ. 60. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://bit.ly/2T5ghG8>> [ბოლოს ნანახია 15.05.2020].

- 2.5 კვ.მ-დან 3 კვ.მ-მდე ფართი თითო მსჯავრდებულზე მოდის 49 საკანში. ამ საკნებიდან 1 საკანში მოთავსებულია 23 მსჯავრდებული, 1 საკანში - 22 მსჯავრდებული, 1 საკანში - 20 მსჯავრდებული, 2 საკანში - 19 მსჯავრდებული, 2 საკანში - 18 მსჯავრდებული, 8 საკანში - 16 მსჯავრდებული, 2 საკანში - 15 მსჯავრდებული, 13 საკანში - 14 მსჯავრდებული, 13 საკანში - 13 მსჯავრდებული, 4 საკანში - 12 მსჯავრდებული, 1 საკანში - 11 მსჯავრდებული და 1 საკანში - 10 მსჯავრდებული.
- 3 კვ.მ-დან 3.5 კვ.მ-მდე ფართი თითო მსჯავრდებულზე მოდის 31 საკანში. ამ საკნებიდან 1 საკანში იმყოფება 25 მსჯავრდებული, 2 საკანში - 23 მსჯავრდებული, 4 საკანში - 14 მსჯავრდებული, 1 საკანში - 13 მსჯავრდებული, 8 საკანში - 12 მსჯავრდებული, 3 საკანში - 9 მსჯავრდებული, 2 საკანში - 8 მსჯავრდებული, 1 საკანში - 7 მსჯავრდებული და 9 საკანში - 6 მსჯავრდებული.
- 3.5 კვ.მ-დან 4 კვ.მ-მდე ფართი თითო მსჯავრდებულზე მოდის 20 საკანში. აქედან 1 საკანში იმყოფება 21 მსჯავრდებული, 5 საკანში - 11 მსჯავრდებული, 5 საკანში - 10 მსჯავრდებული, 2 საკანში - 8 მსჯავრდებული, 2 საკანში - 7 მსჯავრდებული, 5 საკანში - 5 მსჯავრდებული.

დაწესებულებაში არის რამდენიმე საკანი, სადაც მსჯავრდებულთა ძირითად ნაწილთან შედარებით, მნიშვნელოვნად დიდი ფართი მოდის თითო მსჯავრდებულზე. ასე მაგალითად:

- 68 კვ.მ ფართის საკანში მოთავსებულია 6 მსჯავრდებული და თითო მსჯავრდებულზე მოდის 11.3 კვ.მ. საკანი არის 6 ადგილიანი.
- 28.92 კვ.მ ფართის საკანში მოთავსებულია 4 მსჯავრდებული და თითო მსჯავრდებულზე მოდის 7.2 კვ.მ. საკანი არის 4 ადგილიანი.
- 19 კვ.მ. ფართის საკანში მოთავსებულია 2 მსჯავრდებული და თითოზე მოდის 9.5 კვ.მ. საკანი არის 6 ადგილიანი.

ზემოთ მოცემული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა აბსოლუტური უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი კანონმდებლობით განსაზღვრული 4 კვ.მ. პირადი საცხოვრებელი ფართით.¹⁷ ამასთან, საკნების მნიშვნელოვან ნაწილში მსჯავრდებულთა რაოდენობა 2 ათეულს აღემატება, ხოლო ერთ-ერთ საკანში 32 მსჯავრდებულია განთავსებული. ამ საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გათვალისწინებით, ცხადია, ასეთი საკნები ინფექციის გავრცელების კუთხით დიდ გამოწვევას წარმოადგენს.

¹⁷ საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, 1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტზე ნაკლები.

2.6. მსჯავრდებულების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მომარაგება და ინფექციის კონტროლის საკითხებზე ინფორმირება

დაწესებულებაში ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მსჯავრდებულების მომარაგება არ ხდება. მსჯავრდებულებს სადეზინფექციო და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეძენის შესაძლებლობა არ აქვთ, რადგან პერსონალის განმარტებით, მათ ეს საშუალებები არ სჭირდებათ. რაც შეეხება მსჯავრდებულების ინფორმირებას კორონავირუსის გავრცელების პრევენციის ზომებთან დაკავშირებით, პერსონალი აცხადებს, რომ ექიმებმა მოახდინეს მათი ინფორმირება ამ ზომების შესახებ. საცხოვრებელი კორპუსების დერეფნებში გამოკრულია ხელის დაბანის წესი, ასევე ინფორმაცია COVID-19-ის შესახებ. გარდა ამისა, საჭირო ინფორმაციას მსჯავრდებულები ტელევიზიის მეშვეობითაც იღებენ.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ინფექციის კონტროლის ზომების შესახებ მსჯავრდებულთა ინფორმირების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს და იმედს იტოვებს, რომ ამ კუთხით მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდება. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, ყველა იმ მსჯავრდებულმა, რომელსაც აღენიშნება რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, შესაბამისი წესების დაცვით, გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.¹⁸

2.7. სანიტარული მდგომარეობა საექიმო-სამედიცინო პუნქტში

სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი დადებითად აფასებს დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში არსებულ მდგომარეობას. პუნქტი უზრუნველყოფილია სადეზინფექციო ხსნარებითა და ისეთი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, როგორცაა, ერთჯერადი ხალათი, პირბადე, ხელთათმანი, ჩაჩი, ბახილი, სახის დამცავი ფარი, ერთჯერადი ტარა სამედიცინო ნარჩენებისათვის. სამედიცინო დანიშნულების ოთახების დალაგება-დასუფთავება ხდება სველი წესით (სადეზინფექციო საშუალებებით), ყოველდღიურად.

ამ დადებითი შეფასების ფონზე, დასაძინა, რომ სამედიცინო პერსონალის რაიმე სახის სწავლება და ინსტრუქტაჟი ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და მართვის კუთხით არ მომხდარა.

2.8. მიღებული ზომების შეფასება და დამატებით გასატარებელი ღონისძიებები

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მიღებული ზომების და არსებული მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეპიდემიოლოგიური გათვლები უპირატესად ეფუძნება დაშვებას, რომ დაწესებულებაში ახალი

¹⁸ Preparedness, prevention and control of COVID-19 in prisons and other places of detention (Interim guidance), WHO, 2020 წლის მარტი, გვ. 19.

კორონავირუსი ვერ შეაღწევს, რაც შესაძლოა მცდარი აღმოჩნდეს. ამკარაა, რომ გარე სამყაროსგან დაწესებულების სრულად, მით უმეტეს ხანგრძლივი დროით, იზოლირება პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან ასეთმა იზოლირებამ შესაძლოა შეაფერხოს დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება და გააჩინოს არაერთი პრობლემა. შესაბამისად, N17 დაწესებულების პერსონალი ვირუსის დაწესებულებაში შეღწევის სცენარისთვისაც მზად უნდა იყოს. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამგვარი სცენარის აღბათობა არა თეორიული, არამედ რეალურია. მაგალითად, დაწესებულების სამედიცინო პერსონალი, რომელიც სამუშაო დროის დასრულების შემდეგ ტოვებს დაწესებულებას და კონტაქტი აქვს გარე სამყაროსთან, შესაძლებელია გახდეს ახალი კორონავირუსის დაწესებულებაში შემომტანი.

ამკარაა, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ზომის გატარების მიუხედავად, დაწესებულებაში კორონავირუსისგან დაცულობის უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად გასატარებელია დამატებითი ღონისძიებები. ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ეპიდემიოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის ხარისხის მიუხედავად, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, N17 დაწესებულებაში რეკომენდირებულია გატარდეს დამატებით შემდეგი პრევენციული ზომები. პირველ რიგში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს განსაკუთრებული რისკ ჯგუფის¹⁹ მსჯავრდებულების იდენტიფიცირება და მათზე განსაკუთრებული ზრუნვა²⁰. ზოგადად უნდა გაძლიერდეს მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის სკრინინგი საეჭვო სიმპტომების აღმოჩენის მიზნით.²¹ ინფექციის კონტროლის ზომების ეფექტიანად მიღების უზრუნველსაყოფად კი, როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პერსონალს უნდა ჩაუტარდეს სწავლება ინფექციის კონტროლის (COVID-19-ზე განსაკუთრებული ფოკუსით) შესახებ. სასწავლო თემატიკა უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ საკითხებს: პათოგენი, ინფექციის გადაცემის გზები, სიმპტომები და დაავადების კლინიკური მიმდინარეობა; ხელების ჰიგიენა და რესპირატორული ეტიკეტი; ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება და გარემოსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის დასუფთავება და დეზინფექცია.²²

¹⁹ განსაკუთრებულ რისკ ჯგუფს მიეკუთვნებიან ხანდაზმულები და მძიმე, ქრონიკული დაავადებების მქონე მსჯავრდებულები.

²⁰ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით (მიღებულია 2020 წლის 25 მარტს), მე-9 პუნქტის „ა“ და „ო“ ქვეპუნქტები.

²¹ Preparedness, prevention and control of COVID-19 in prisons and other places of detention (Interim guidance), WHO, 2020 წლის მარტი, გვ. 9.

²² იქვე. p. 14.

გარდა ამისა, ხელი უნდა შეეწყოს ფიზიკური დისტანციის დაცვას და ამ მიზნით მაქსიმალურად თავიდან უნდა იქნას აცილებული მსჯავრდებულების ერთ სივრცეში კონცენტრაცია.²³ ასევე დაწესებულებაში უნდა გაიზარდოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ხარისხი, რისთვისაც ყველა მსჯავრდებული სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირადი ჰიგიენის დაცვის აუცილებელი საშუალებებით.²⁴ ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პირბადეს, შესაბამისი წესების დაცვით, იყენებდნენ ის მსჯავრდებულები, რომლებსაც აღენიშნებათ რესპირატორული დაავადებების სიმპტომები.²⁵

როგორც N17 დაწესებულებაში, ასევე ზოგადად ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა განხორციელდეს ინფექციის გავრცელების რისკების შეფასება და მომზადდეს COVID-19-ის პრევენციისა და კონტროლის კარგად გააზრებული გეგმა. ამ გეგმის მომზადებისას გამოყენებულ უნდა იქნას პენიტენციურ დაწესებულებებსა და დაკავების სხვა ადგილებში COVID-19-ის პრევენციისა და კონტროლის მზადყოფნის შეფასების მიზნით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მომზადებული კითხვარი,²⁶ ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს პატიმართა რაოდენობის შემცირების მიზნით სასჯელის მოხდისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლებისა და არასაპატიმრო ზომების გამოყენების შესაძლებლობა.²⁷ სახალხო დამცველის შეფასებით, COVID-19-ის პრევენციის და კონტროლის გეგმის არსებობა პენიტენციურ დაწესებულებებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც COVID-19-ის პანდემია უმოკლეს ვადებში ვერ აღმოიფხვრება და განმეორებითი ეპიდემიოლოგიური ტალღა გამორიცხული არ არის (contingency planning²⁸).

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით უზრუნველყოს N17 დაწესებულებაში ინფექციის გავრცელების რისკების და ამ რისკების აღმოფხვრის კუთხით საჭიროებების შეფასება; ასევე შემუშავდეს პენიტენციურ დაწესებულებებში COVID-19-ის პრევენციისა და კონტროლის გეგმა

²³ იქვე. p. 9

²⁴ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით (მიღებულია 2020 წლის 25 მარტს), მე-9 პუნქტის "j" ქვეპუნქტი.

²⁵ Preparedness, prevention and control of COVID-19 in prisons and other places of detention (Interim guidance), WHO, 2020 წლის მარტი, გვ. 19

²⁶ კითხვარი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://bit.ly/3fQo2K2>> [ბოლოს ნანახია 15.05.2020].

²⁷ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით (მიღებულია 2020 წლის 25 მარტს), მე-9 პუნქტის "b" ქვეპუნქტი.

²⁸ Preparedness, prevention and control of COVID-19 in prisons and other places of detention (Interim guidance), WHO, 2020 წლის მარტი, გვ. 12.

- N17 დაწესებულებაში გატარდეს, სულ მცირე, შემდეგი ღონისძიებები:
 - ✓ გაძლიერდეს მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის სკრინინგი საექვო სიმპტომების აღმოჩენის მიზნით
 - ✓ მოხდეს ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებული რისკ ჯგუფის მსჯავრდებულების იდენტიფიცირება და მათზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა
 - ✓ როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს სწავლება ინფექციის კონტროლის (COVID-19-ზე განსაკუთრებული ფოკუსით), მათ შორის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების საკითხებზე
 - ✓ მაქსიმალურად თავიდან იქნას აცილებული მსჯავრდებულების ერთ სივრცეში კონცენტრაცია
 - ✓ ყველა მსჯავრდებული სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფილი იქნას პირადი ჰიგიენის დაცვის აუცილებელი საშუალებებით
 - ✓ უზრუნველყონ, რომ პირბადეს იყენებდნენ ის მსჯავრდებულები, რომლებსაც აღენიშნებათ რესპირატორული დაავადებების სიმპტომები

3. ეპიდემიოლოგიური ზომების გავლენა მსჯავრდებულთა უფლებებზე

3.1. მოპყრობა, წესრიგი და უსაფრთხოება

სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს ვიზიტის მიმდინარეობისას, დაწესებულების თანამშრომლების მიერ მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შესახებ ინფორმაცია არ მიუღია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში კვლავ ფიქსირდება მსჯავრდებულთა შორის ძალადობის ცალკეული ფაქტები,²⁹ ასევე საექვო დაზიანებები,³⁰ რომლებიც შესაძლებელია მსჯავრდებულებს ძალადობის შედეგად მიეღოთ. აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი საექვო დაზიანებების 6 შემთხვევაში საგამომიებო ორგანოში შეტყობინება არ გაგზავნილა. აქედან სამ შემთხვევასთან³¹

²⁹ დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტაციის თანახმად, თანამშრომელთა ყაზარმულ რეჟიმზე გადასვლამდე დაფიქსირდა მსჯავრდებულთა შორის კონფლიქტის 2 შემთხვევა, ხოლო ყაზარმულ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ - 1 შემთხვევა.

³⁰ სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 2020 წლის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად 14 ასეთი შემთხვევა გამოავლინა. ასე მაგალითად, ერთ-ერთ შემთხვევაში მსჯავრდებულს აღენიშნებოდა მარჯვენა თვალბუდის არეში სიწითლე, სიწითლე და შეშუპება მარჯვენა საფეთქლის და ყვრიმალის არეში, მარჯვენა მტევნის შეშუპება და მარცხნივ თხემის არეში ექსკორიაცია. ამ დაზიანებების მიღების გარემოებად საწოლიდან ჩამოვარდა იყო მითითებული. აღსანიშნავია, რომ ყაზარმულ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ საექვო დაზიანების რაოდენობის ზრდის ტენდენცია არ ვლინდება.

³¹ შემთხვევა N1: მარცხენა თვალბუდის და ცხვირის ექსკორიაცია მიღებული მაგიდის ტენისის თამაშის დროს (ჩოგანი მოხვდა სახეში); შემთხვევა N2: მარცხენა თვალის სიწითლე და მტკიცუნეულობა - საკანში ყოფნისას ცხელი წყალი შეესხა შემთხვევით; შემთხვევა N3: კეფაზე 3 სმ ზომის ნახეთქი ჭრილობა - აბანოს დალაგებისას დაეცა.

მიმართებით პერსონალმა განმარტა, რომ შესაძლო ძალადობაზე ეჭვი არ გასჩენიათ, ხოლო სამ შემთხვევაში³² შეტყობინების არგაგზავნის მიზეზი უცნობია. სახალხო დამცველი თვლის, რომ აღნიშნულ 6 შემთხვევაში, დაზიანებების ხასიათს, მათ ლოკალიზაციას და მიღების მეთოდებს, ერთობლიობაში ობიექტური დამკვირვებლისთვის უნდა აღედრა ეჭვი შესაძლო ძალადობაზე და მიაჩნია რომ N17 დაწესებულებიდან საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინებების გაგზავნის არაერთგვაროვანი³³ პრაქტიკის შესწავლის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ უნდა ჩაატაროს სამსახურებრივი შემოწმება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში წესრიგისა და უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. განსაკუთრებული პირობების ამოქმედების შემდეგ შეინიშნება დისციპლინური სახდელების კლების ტენდენცია.³⁴

მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი კვლავ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ დიდი ზომის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, ზოგადად არაკეთილსაიმედო მდგომარეობაა.³⁵ ცხადია, დაწესებულებაში, სადაც 1700 მსჯავრდებული ქაოტურად მოძრაობს, სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლების არსებული რაოდენობა³⁶ არასაკმარისია. დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ერთ მორიგე

³² შემთხვევა N1: მარცხენა თვალბუდის სისხლნაჟღერითი, ექსკორიაციები მარჯვენა მხრის, ბეჭის და იდაყვის არეში - საკანში, საწოლიდან ჩამოვარდა; შემთხვევა N2: მარჯვენა წარბის ნახეთქი ჭრილობა - საკანში, საწოლიდან ჩამოვარდა. შემთხვევა N3: მარცხენა ყურის ნიჟარაზე სისხლნაჟღერითი და ზედა ტუჩის მარჯვენა კუთხეში ნახეთქი - საკანის საპირფარეშოში თავბრუ დაეხვა და დაეჯახა კედელს.

³³ კიდევ უფრო გაუგებარი ხდება ზემოთ ხსენებულ 6 შემთხვევაში შეტყობინების არგაგზავნის მიზეზი რამდენიმე ისეთი შემთხვევის განხილვის შემდეგ, სადაც დაზიანებების ხასიათი და მიღების გარემოები მეტ-ნაკლებად მსგავსია და სადაც შეტყობინება გაგზავნილია საგამოძიებო ორგანოში. ასე მაგალითად, ერთ-ერთ მსჯავრდებულს აღენიშნებოდა შუბლის არეში მრავლობითი ნაკაწრები და ამ დაზიანების მიღების გარემოებად საკანში დაცემა იყო მითითებული. კიდევ ერთ შემთხვევაში მსჯავრდებულს აღენიშნებოდა ცხვირის შესიება და სილურჯე, რომელიც, მისი განმარტებით, მიიღო წაქცევისას, სახის იატაკზე დარტყმით. შემოწმების შედეგად მსგავსი რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა.

³⁴ იანვარსა და თებერვალში დისციპლინური სახდელი 18 შემთხვევაში იყო გამოყენებული (აქედან 12 შემთხვევაში სამართლო საკანში მოთავსება, ხოლო 6 შემთხვევაში საყვედური). მარტის განმავლობაში სახდელები საერთოდ არ გამოუყენებიათ, ხოლო აპრილში მხოლოდ 5 შემთხვევაში გამოიყენეს (ყველა შემთხვევაში სამართლო საკანში მოთავსება).

³⁵ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, გვ. 57. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://bit.ly/2WzlsRa>> [ბოლოს ნანახია 15.05.2020].

³⁶ დაწესებულების შიგნით, ყაზარმულ რეჟიმზე იმყოფება 50 თანამშრომელი. 34 სამართლებრივი რეჟიმის და 7 უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელი (ამ განყოფილების უფროსების ჩათვლით) ასევე, ცენტრალური ადმინისტრაციის 9 მენეჯერი (დირექტორი, მოადგილეები და განყოფილების უფროსები). თანამშრომლები მორიგეობენ დღეგამოშვებით. ცვლაში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების 17 თანამშრომელია.

თანამშრომელზე 100 მსჯავრდებული მოდის, რაც წესრიგისა და უსაფრთხოების კუთხით დიდი გამოწვევაა. სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშში გასცა რეკომენდაცია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გათვალისწინებული ყოფილიყო პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობა გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ ერთი თანამშრომელი.³⁷

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის მთავარ ფოკუსს ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა წარმოადგენდა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისთვის თვალშისაცემი იყო მსჯავრდებულთა გარკვეული ჯგუფის აქტიურობა, რაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან მსჯავრდებულთა კომუნიკაციის პროცესში ჩარევასა და პრობლემურ საკითხებზე მოსაუბრე მსჯავრდებულების გარიდებაში გამოიხატებოდა. ეს მოვლენა ჯგუფისთვის უცხო არ არის და ასევე აშკარა იყო 2019 წელს N14 და N15 დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის ვიზიტების დროს. ეს გარემოება წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისა³⁸ და სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც კრიმინალური სუბკულტურის გავლენისა და არაფორმალური მმართველობის არსებობის ნიშანი. ამდენად, სახალხო დამცველი მოუწოდებს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს არ დაუშვას დაწესებულებაში კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერება და არაფორმალური მმართველობის გზით მოჩვენებითი „წესრიგის“ დამყარება.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ როგორც უსაფრთხოების და წესრიგის კუთხით, ასევე ინფექციის კონტროლის თვალსაზრისით არსებული რისკებიდან გამომდინარე უნდა დაჩქარდეს³⁹ დიდი პენიტენციური დაწესებულებების მცირე და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის მქონე დაწესებულებებად გარდაქმნის პროცესი, როგორც ეს გათვალისწინებულია პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიითა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით.⁴⁰

³⁷ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, გვ. 81, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://bit.ly/2Wzc3Zz>> [ბოლოს ნანახია: 15.05.2020].

³⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ (CPT/Inf (2019) 16), პარ. 51. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://bit.ly/2Z4pdQ0>> [ბოლოს ნანახია 15.05.2020].

³⁹ აღსანიშნავია, რომ პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, 2020 წლის დეკემბრისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს N17 დაწესებულების დახურვის გეგმა.

⁴⁰ ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://bit.ly/2T2d8qP>> [ბოლოს ნანახია 15.05.2020].

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ჩაატაროს სამსახურებრივი შემოწმება N17 დაწესებულებაში და შეისწავლოს, თუ რა არის იმის მიზეზი, რომ საექვო დაზიანებების და ამ დაზიანებების მიღების გარემოების საექვო განმარტების თვალსაზრისით ორი მსგავსი შემთხვევის მიუხედავად, ერთ შემთხვევაში გაგზავნილია შეტყობინება საგამოძიებო ორგანოში, ხოლო მეორე შემთხვევაში - არა
- დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად, დაჩქარებული წესით წარმოადგინოს N17 დაწესებულების დაზურვის გეგმა

3.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

განსაკუთრებული პირობების დაწესების შემდეგ, დაწესებულებაში დღის განრიგი არ შეცვლილა. მსჯავრდებულებს შეუძლიათ გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე 08:00 საათიდან 19:30 საათამდე, ხოლო სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული მსჯავრდებულების შემთხვევაში 22:00 საათამდე. დღის განმავლობაში მსჯავრდებულებს შეუძლიათ ისარგებლონ ეზოში დამონტაჟებული ტრენაჟორებით. აქვე დადებითად უნდა აღინიშნოს სპორტული დარბაზის აშენების ფაქტი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს კოსმეტიკური რემონტი. მსჯავრდებულებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით.

29 მარტიდან დაწესებულებაში შეჩერებულია სარეაბილიტაციო პროგრამები, ვინაიდან 8 სოციალური მუშაკი და 2 ფსიქოლოგი განათავსეს დაწესებულების გარე პერიმეტრზე და შესაბამისად, ისინი შიდა პერიმეტრზე დროებით არ დაიშვებიან. მართალია, ეს ზომა დროებითია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე გაურკვეველია რამდენი ხნით გაგრძელდება განსაკუთრებული პირობები დაწესებულებაში, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია შემუშავდეს განსაკუთრებულ პირობებში სარეაბილიტაციო აქტივობების ჩატარების გეგმა, სადაც, inter alia, განხილულ იქნება ამ აქტივობების დისტანციურად წარმართვის შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ასეთი გეგმა დროულად წარმოადგინოს.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- შემუშავდეს განსაკუთრებულ პირობებში სარეაბილიტაციო აქტივობების ჩატარების გეგმა, სადაც, inter alia, განხილულ იქნება ამ აქტივობების დისტანციურად წარმართვის შესაძლებლობა

3.3. კონტაქტი გარე სამყაროსთან

დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების დაწესების მთავარი მიზანი სწორედ გარე სამყაროსთან ფიზიკური კონტაქტის შეზღუდვა იყო. დროებით შეიზღუდა ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება. მართალია, 2020 წლის 25 მაისიდან პენიტენციურ სისტემაში აღდგა ხანმოკლე პაემნები მინის ბარიერის პირობებში, თუმცა დროებითი შეზღუდვა ისევ მოქმედებს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებასთან მიმართებით. ამასთანავე, არ მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რაც, რა თქმა უნდა, ზღუდავს პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელებას.

ამ შეზღუდვის საკომპენსაციოდ კი მსჯავრდებულებს არსებულ სატელეფონო ლიმიტზე დაუმატეს უფასო 15 წუთი, რომელიც პენიტენციურ სისტემაში განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში, ყოველთვიურად საჩუქრად გადაეცემათ პატიმრებს. გარდა ამისა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა უზრუნველყო თითოეულ პატიმარზე ერთჯერადად 20 წუთის ხანგრძლივობის სასაუბრო დროის დარიცხვა. აქვე დადებითად უნდა აღნიშნოს ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით ტელეფონით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არ გამოიყენება.

შეზღუდვა არ შეხება ვიდეოპაემანსა და პირადი ხასიათის კორესპონდენციის გაგზავნას. მარტისა და აპრილის განმავლობაში 73 ვიდეოპაემანი განხორციელდა, რაც ორჯერ ნაკლებია იანვრისა და თებერვლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (სულ 155 ვიდეოპაემანი). ვიდეოპაემნების განხორციელების მაჩვენებლის კლება იმ პირობებში, როდესაც ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების განხორციელება დროებით შეჩერებული იყო, სავარაუდოდ განპირობებული იყო ქვეყანაში დაწესებული ზოგადი შეზღუდვებით. მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განსახორციელებლად პირი ვალდებულია გამოცხადდეს პრობაციის ბიუროში⁴¹, რაც, რიგ შემთხვევებში, შეუძლებელი იყო გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვებისა და პრობაციის ბიუროების დროებით დაკეტვის გამო. ამასთანავე, ქვეყანაში არ მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რაც დამატებით ბარიერს წარმოადგენს მოქალაქეთა გადაადგილების თვალსაზრისით. შესაბამისად, სახალხო დამცველს და სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ვიდეოპაემანი, როგორც აუდიო-ვიზუალური კომუნიკაციის კარგი საშუალება, სათანადოდ არ გამოიყენება ხანმოკლე და

⁴¹ საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ მე-17¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის ორგანიზებას მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის საფუძველზე უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულება, ხოლო პენიტენციური დაწესებულების გარეთ – სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (შემდგომ – სააგენტო).

ხანგრძლივი პაემნებისა, ასევე ქვეყანაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის თვალსაზრისით მოქმედი შეზღუდვის საკომპენსაციოდ. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ გადაიხედოს ვიდეოპაემნის განხორციელების წესი,⁴² რათა მისი არსებულ გამოწვევებთან ადაპტირების გზით უზრუნველყოფილი იყოს ვიდეოპაემნის უფრო აქტიური და ხშირი გამოყენება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, იუსტიციის სამინისტრომ დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომელითაც გამარტივდება ვიდეოპაემნების განხორციელება.⁴³

გარე სამყაროსთან კონტაქტის თვალსაზრისით განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები⁴⁴, მოქალაქეობის არმქონე პირები და საქართველოს ის მოქალაქეები, რომელთა ოჯახის წევრები საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ. წლების განმავლობაში ოჯახის წევრების მხრიდან ვიზიტების ნაკლებობის ფონზე, ისინი ზოგ შემთხვევაში უფრო მეტ იზოლაციას განიცდიან. მიუხედავად ვიდეოპაემნის მნიშვნელობისა, საქართველოს პენიტენციური სისტემა ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ფარგლებს გარეთ აუდიო-ვიზუალური კომუნიკაციის განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული პირებისთვის სატელეფონო კავშირი უმეტეს შემთხვევაში ახლობლებთან კონტაქტის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ზარების განხორციელების სიძვირიდან გამომდინარე, ზოგიერთი პატიმარი ხშირად ამ პრაქტიკულად ერთადერთი კონტაქტის შესაძლებლობასაც კი მოკლებულია.

სახალხო დამცველი მიესალმება, ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების შეზღუდვის საკომპენსაციოდ პატიმრებისთვის არსებულ სატელეფონო ლიმიტზე უფასო წუთების დამატებას, თუმცა, დამატებული ლიმიტები გაცილებით ნაკლებ სასაუბრო წუთებს მოიცავს საერთაშორისო ზარების განხორციელების შემთხვევაში, რაც პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს მათი მდგომარეობის არსებით შემსუბუქებას.

გარე სამყაროსთან კონტაქტის თვალსაზრისით არსებული მწირი შესაძლებლობების ფონზე, სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის კიდევ უფრო გაუგებარია საზღვარგარეთ დარეკვის დღეებთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვები,

⁴² საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 5 აპრილის N55 ბრძანება „მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე“.

⁴³ მაგალითისთვის, პენიტენციური დაწესებულებებიდან უსაფრთხო ვიდეოზარების განხორციელება. გაერთიანებული სამეფოს მაგალითი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://bit.ly/2WZ2TVh>> [ბოლოს ნანახია: 15.05.2020].

⁴⁴ მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულებაში მოთავსებული იყო 91 უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებული.

რომლითაც საერთაშორისო ზარის განხორციელება მხოლოდ ხუთშაბათობითა და შაბათობითაა შესაძლებელი.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ გლობალური პანდემიის პირობებში, ოჯახის წევრების და ახლობლების შესახებ ინფორმაციის არქონით გამოწვეული სტრესით მსჯავრდებულთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობის დამძიმების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად შეეწყოს ხელი მსჯავრდებულთა კომუნიკაციას საზღვარგარეთ მყოფ ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან.⁴⁵ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, რომ უცხოელმა პატიმრებმა, ასევე საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, შეძლონ საერთაშორისო ზარების განხორციელება გონივრულ, ხელმისაწვდომ ფასად. ამასთან, ამ პატიმრების არსებულ სატელეფონო ლიმიტს უფასო წუთები უნდა დაემატოს იმ რაოდენობით, რაც განსაზღვრულია ადგილობრივი ზარების შემთხვევაში. გარდა ამისა, უნდა მოიხსნას საზღვარგარეთ დარეკვის დღეებთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვები, ხოლო საქართველოს პენიტენციურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ ვიდუოპაემნის განხორციელების შესაძლებლობა.

რაც შეეხება განცხადებებისა და საჩივრების გაგზავნის პროცედურას, მსჯავრდებულებს შეუძლიათ ისარგებლონ საჩივრის ყუთებთან მოთავსებული კონვერტებით, რომელსაც დახურულ მდგომარეობაში გასაგზავნად იბარებს სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელი.

დაწესებულებაში შესვლაზე დაწესებული შეზღუდვების გამო მსჯავრდებულები ადვოკატს ხანმოკლე პაემნის ოთახში, შუშის ბარიერს მიღმა ხვდებიან. დაწესებულების თანამშრომელი უშუალოდ შეხვედრას არ ესწრება და მხოლოდ ელექტრონული საშუალებით მიმდინარეობს მეთვალყურეობა.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- გადაიხედოს ვიდუოპაემნის განხორციელების მოქმედი წესი, რათა მისი არსებულ გამოწვევებთან ადაპტირების გზით უზრუნველყოფილი იყოს ვიდუოპაემნის უფრო აქტიური და ხშირი გამოყენება
- იუსტიციის სამინისტრომ დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომლითაც გამარტივდება ვიდუოპაემნების განხორციელება

⁴⁵ 2019 წლის ანგარიშში სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, „პატიმრობის კოდექსში“ შეეტანათ ცვლილება და იმ უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულებს, რომლებიც ოჯახის საზღვარგარეთ ცხოვრობენ გამო ვერ სარგებლობენ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, მისცემოდათ ვიდუოპაემნით სარგებლობის საშუალება.

- მიიღოს ყველა ზომა, რათა უცხოელმა პაციმრებმა, ასევე საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, შეძლონ საერთაშორისო ზარების განხორციელება შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად
- მიიღოს ყველა ზომა, რათა უცხოელ პაციმრებს, ასევე საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, პანდემიის პერიოდში ყოველთვიურად დაერიცხოთ 15 წუთი სასაუბრო დრო საერთაშორისო ზარების განსახორციელებლად
- მიიღოს ყველა ზომა, რათა მოიხსნას საზღვარგარეთ დარეკვის დღეებთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვები

3.4. სამედიცინო მომსახურება

3.4.1. სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობა

2020 წლის 30 აპრილს სახალხო დამცველისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ N17 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს, ცნობილი გახდა იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტში მიმდინარე რეორგანიზაციის დასრულების შესახებ,⁴⁶ რის საფუძველზეც N17 დაწესებულებიდან გათავისუფლდა საექიმო-სამედიცინო პუნქტის 11 თანამშრომელი,⁴⁷ ამასთან, დაწესებულებიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი.

განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ N17 დაწესებულებაში დარჩა 1 მთავარი ექიმი, 1 ადმინისტრაციული ასისტენტი, პირველადი ჯანდაცვის პუნქტის (პჯდ) 2 ექიმი და 5 ექთანი, 3 მორიგე ექიმი და 5 მორიგე ექთანი. პირველადი ჯანდაცვის პუნქტის ექიმების ჟურნალების შემოწმებით დგინდება, რომ დღის განმავლობაში პჯდ ექიმთან მიმართვიანობა მაღალი არ არის, დღის განმავლობაში ერთი პჯდ ექიმი საშუალოდ 6-8 მსჯავრდებულს უწევს კონსულტაციას. ერთეულ შემთხვევებში, დღის განმავლობაში შესაძლოა 15-20 კონსულტაციაც ჩაატარონ, ზოგიერთ შემთხვევაში კი - 2-3 კონსულტაცია.⁴⁸ დოკუმენტაციის შემოწმებით ასევე დგინდება, რომ 2020 წლის 1 მაისიდან 7 მაისის ჩათვლით⁴⁹ ჩატარებული კონსულტაციების საშუალო მაჩვენებელი

⁴⁶ რეორგანიზაციის პერიოდში სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდა სამ ეტაპიანი გამოცდა, რომელიც მოიცავდა უნარ-ჩვევების და პროფესიულ გამოცდებს, ასევე გასაუბრებას.

⁴⁷ 1 პჯდ ექიმი, 1 მორიგე ექიმი, 1 პჯდ ექთანი, 7 მორიგე ექთანი, 1 სტომატოლოგი.

⁴⁸ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ, პირველადი ჯანდაცვის ექიმების ჟურნალებში შემოწმებული იქნა პერიოდი 2020 წლის 1 თებერვლიდან 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

⁴⁹ რეორგანიზაციის შემდგომი პერიოდი.

არსებითად არ შეცვლილა და დღის განმავლობაში საშუალოდ 6-7 კონსულტაციას ატარებდნენ.

პერსონალის განმარტებით, დღის განმავლობაში დაწესებულებაში იმყოფება მთავარი ექიმი, 1 ადმინისტრაციული ასისტენტი, 2 პჯდ ექიმი, 5 პჯდ ექთანი, ასევე იმყოფება 1 მორიგე ექიმი და 3 მორიგე ექთანი. არასამუშაო დროსა და დასვენების დღეებში 1 მორიგე ექიმი და 3 მორიგე ექთანი იმყოფება დაწესებულებაში.⁵⁰ აღსანიშნავია, რომ რეორგანიზაციის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა მორიგე ექთნების რაოდენობა.⁵¹ ამასთან, მათ ყოველ მეორე დღეს უწევთ 24 საათიანი მორიგება, რაც სამედიცინო პერსონალის პროფესიული გადაწვის საფრთხეს ქმნის. სახალხო დამცველი 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში ყურადღებას ამახვილებდა მორიგე პერსონალის, მათ შორის მორიგე ექთნების დატვირთვაზე,⁵² რაც გავლენას ახდენს დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე და რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, უზრუნველყო დაწესებულებებში მორიგე ექთნების რაოდენობის ორჯერ გაზრდა,⁵³ ამის საპირისპიროდ, კი მათი რაოდენობა ორჯერ შემცირდა.

რეორგანიზაციამდე დაწესებულებაში დასაქმებული იყო სტომატოლოგი, რომელიც დღის განმავლობაში საშუალოდ 15 მსჯავრდებულს უწევდა სტომატოლოგიურ მომსახურებას. რეორგანიზაციის შემდეგ სტომატოლოგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მთავარი ექიმის განმარტებით, ელოდება უახლოეს მომავლში სტომატოლოგის მომსახურების საკითხის გადაწყვეტას.

რაც შეეხებათ მოწვეულ ექიმ სპეციალისტებს, ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, 2020 წლის მარტის თვიდან, დაწესებულებაში შეიზღუდა მათი ვიზიტები. ექიმ სპეციალისტთა აღრიცხვის ჟურნალების შესწავლით დგინდება, რომ ჟურნალების წარმოება კვლავ ხარვეზებით მიმდინარეობს, კერძოდ, ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული კონსულტაციაზე ჩაწერის თარიღი, რის გამოც ხშირად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენი ხანი ელოდა კონსულტაციას მსჯავრდებული. იმ შემთხვევებში კი, სადაც მითითებული ჩაწერის თარიღი, არის შემთხვევები, რომ მსჯავრდებულები ჩაწერილი არიან კონსულტაციაზე იანვარსა და თებერვალში, თუმცა კონსულტაცია არ ჩატარებიათ.

⁵⁰ თოთოეულ საცხოვრებელ კორპუსზე მიმაგრებულია ერთი ექთანი.

⁵¹ რეორგანიზაციამდე დაწესებულებას ემსახურებოდა 12 მორიგე ექთანი, რომელთაც 4 დღეში ერთხელ უწევდათ მორიგეობა.

⁵² საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 70. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <<https://bit.ly/2Z7qnKC>> [ბოლოს ნანახია 15.05.2020].

⁵³ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, ერთ ექიმზე - 300, ხოლო 1 ექთანზე 50 პაციენტზე მეტი არ უნდა მოდიოდეს. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 2007 წლის საბერძნეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 52.

აღნიშნული ჟურნალების მიხედვით ზოგიერთი სპეციალისტის მიერ ბოლო კონსულტაცია ჩატარებულია თებერვლის თვეში.⁵⁴

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ N17 დაწესებულებაში, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, სამედიცინო მომსახურების მიწოდების მოცულობა შეზღუდულია, კერძოდ, შეზღუდულია ექიმ-სპეციალისტთა ვიზიტები და გეგმიური სამედიცინო რეფერალის განხორციელება. ამასთან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად დაწესებულებაში შემცირდა სამედიცინო პერსონალის, განსაკუთრებით კი ექთნების რაოდენობა, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში დროულად შეივსოს სამედიცინო პერსონალის ვაკანტური პოზიციები და გაიზარდოს ექთანების რაოდენობა. გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების ყველა ზომის დაცვით, განახლდეს ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციები და გეგმიური სამედიცინო რეფერალის განხორციელება.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი ექიმის განმარტებით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში აღდგა რენტგენოგრაფიის ჩატარების პროცესი. ასევე დადებითად უნდა აღინიშნოს, „C“ ჰეპატიტის, შიდსისა და დიაბეტის სახელმწიფო პროგრამების შეუფერხებელი განხორციელება. ვიზიტის დროს დაწესებულებაში მედიკამენტებით მომარაგების პრობლემა არ დაფიქსირებულა.

3.4.2. სამედიცინო რეფერალი

ქვეყანაში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ცვლილებების შესაბამისად, დაწესებულებიდან შეიზღუდა სამოქალაქო სექტორის კლინიკებში გეგმიური სამედიცინო რეფერალის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ შეუფერხებლად ხორციელდება გადაუდებელი რეფერალი, ასევე გეგმიური რეფერალის ის შემთხვევები, როდესაც პაციენტის გაყვანა ხდება დიალიზის, ქიმიოთერაპიის კურსის ჩასატარებლად, ან ოპერაციის შემდგომი პერიოდის გამო განმეორებით კონსულტაციის/სამედიცინო მანიპულაციის მიზნით. ვიზიტის დროისთვის, მარტისა და აპრილის თვეში N17 დაწესებულებიდან განხორციელდა 117

⁵⁴ მაგალითად, ანგიოლოგმა ბოლო კონსულტაცია 2020 წლის 25 თებერვალს ჩაატარა, უროლოგმა - 11 თებერვალს, ხოლო ოფთალმოლოგმა - 27 თებერვალს.

რეფერალი,⁵⁵ გეგმიურ სამედიცინო რეფერალისთვის კი 93 შემთხვევა იყო დარეგისტრირებული.⁵⁶

3.4.3. ფსიქიატრიული დახმარება

N17 დაწესებულებაში სხვა ექიმ სპეციალისტების მსგავსად შეიზღუდა ფსიქიატრის ვიზიტებიც.⁵⁷ მთავარი ექიმი გასაუბრების დროს აღნიშნავს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გართულების შემთხვევაში, პაციენტი ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაჰყავთ.⁵⁸ იმ შემთხვევაში კი, თუ მსჯავრდებული ფსიქიატრის დანიშნულების იღებს, დაწესებულების პირველადი ჯანდაცვის პუნქტის ექიმი წყვეტს ფსიქიატრის შემდგომი კონსულტაციის საჭიროების საკითხს. საჭიროების შემთხვევაში კი, ფსიქიატრის კონსულტაცია დაწესებულებიდან გაყვანით ან ადგილზე ფსიქიატრის მოწვევით ტარდება.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს დაწესებულების სამედიცინო ნაწილში არსებული ვაკანტური ადგილების უმოკლეს დროში შევსება
- უზრუნველყოს N17 დაწესებულებაში ექთნების რაოდენობის გაზრდა მინიმუმ ოთხჯერ
- ქვეყანაში არსებული კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ინფექციის კონტროლის ყველა ზომის დაცვით, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს დაწესებულებებში ექიმ სპეციალისტების ვიზიტების განახლება

3.5. კვება

დაწესებულებაში კორონა ვირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით პაემნებისა და ამანათების აკრძალვის შედეგად, სხვა პენიტენციური დაწესებულებების მსგავსად, ვიზიტის დროისთვის შეჩერებული იყო ოჯახის მხრიდან საკვების მიწოდება. მართალია, 20 მაისიდან პენიტენციურ სისტემაში განახლდა

⁵⁵გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისთვის მარტის თვეში 18, აპრილში კი 30 რეფერალი განხორციელდა. გეგმიური სამედიცინო მომსახურებისთვის მარტის თვეში 43, აპრილში კი 27 რეფერალი განხორციელდა.

⁵⁶ ამჟამად, სამედიცინო რეფერალის ბაზაში აქვთ 25 გეგმიური სტაციონარი და 68 ამბულატორია (დადასტურებული). დასადასტურებელი არცერთი არ არის.

⁵⁷ ექიმ ფსიქიატრის ბოლო ვიზიტი კონსულტანტთა აღრიცხვის ჟურნალების მიხედვით 2020 წლის 12 მარტს ფიქსირდება.

⁵⁸ 2020 წელს 4 მსჯავრდებული იქნა გადაყვანილი N18 დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში.

ამანათების მიწოდება, თუმცა არ მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რაც, რა თქმა უნდა, ზღუდავს ამანათის მიწოდების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებს კვლავინდებურად აქვთ დაწესებულების მაღაზიით სარგებლობის შესაძლებლობა, არ შეცვლილა პატიმართა კვების რაციონი, რათა მომხდარიყო ოჯახის მხრიდან საკვების მიწოდების შეჩერებით გამოწვეული დანაკლისის კომპენსირება.

„ნელსონ მანდელას წესების“ 22-ე წესის თანახმად, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ პატიმარს უნდა მიაწოდოს ისეთი კვებითი ღირებულების მქონე საკვები, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრის ჯანმრთელობასა და მხნეობას. საკვები უნდა იყოს სასარგებლო და კარგად მომზადებული. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის (SPT) რეკომენდაციის შესაბამისად კი, სახელმწიფოებმა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს საშუალება უნდა მისცენ, კვლავაც გააგრძელონ საკვებისა და საჭირო ნივთების მიწოდება თავისუფლება აღკვეთილი პირებისათვის, ადგილობრივი პრაქტიკის შესაბამისად და აუცილებელი დამცავი ზომების გათვალისწინებით.⁵⁹ აღნიშნული ორი რეკომენდაცია ურთიერთკავშირშია, ავსებს ერთმანეთს და მიმართულია პატიმრის კვებითი საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილებისაკენ. ამდენად, თუ მომავალში, ეპიდემიოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, გარდაუვალი იქნება ამანათის მიღების პროცესის შეჩერება, ამით გამოწვეული დანაკლისი უნდა დაკომპენსირდეს.

4. პერსონალი

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ 29 მარტიდან დაწესებულების 50 თანამშრომელი დარჩა ყაზარმულ რეჟიმზე, რომელთაგან მხოლოდ 34 იყო სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელი.⁶⁰ სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლები დაწესებულების ტერიტორიაზე განაწილებული არიან 4 საცხოვრებელ კორპუსში არსებულ საგუშაგოებზე. ოთხივე კორპუსში არის თითო საგუშაგო და თითოეულ საგუშაგოზე მორიგეობს 4 თანამშრომელი. 1 თანამშრომელი კი საექიმო-სამედიცინო პუნქტში მორიგეობს.

საგულისხმოა, რომ სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ერთ მორიგე თანამშრომელზე 100 მსჯავრდებული მოდის, რაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, არ არის საკმარისი დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის. გარდა ამისა, საცხოვრებელი კორპუსებიდან სამედიცინო პუნქტში და ადმინისტრაციულ კორპუსში პატიმრების გადაყვანის შემთხვევაში,

⁵⁹ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით (მიღებულია 2020 წლის 25 მარტს), მე-9 პუნქტის „I“ ქვეპუნქტი.

⁶⁰ სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლები დღეგამოშვებით მორიგეობენ. ერთ ცვლაში 17 ასეთი თანამშრომელია.

თანამშრომლებს უწევთ საგუშაგოების დატოვება, რაც იწვევს საგუშაგოზე დარჩენილი თანამშრომლების გადატვირთვას და ზრდის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ რისკებს. სახალხო დამცველსა მიაჩნია, რომ საჭიროა გაიზარდოს სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მორიგე თანამშრომლების რაოდენობა, რაც შეამსუბუქებს თანამშრომლების გადატვირთულ რეჟიმს და შეამცირებს დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ რისკებს.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ N17 დაწესებულებაში ყაზარმულ რეჟიმზე მყოფ თანამშრომლებთან ოჯახის წევრები რეკავენ დაწესებულების სამორიგეოში არსებულ ტელეფონზე, თუმცა აღნიშნული ტელეფონით თანამშრომლების მიერ ზარის განხორციელება არ არის შესაძლებელი. ოჯახის წევრებთან საკუთარი ინიციატივით დაკავშირების სურვილის შემთხვევაში, დაწესებულების თანამშრომლები თხოვნით მიმართავენ დირექტორს და დირექტორის მოადგილეებს, რომლებიც მათ საკუთარი ტელეფონებით აკავშირებენ.

სახალხო დამცველსა და სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მიაჩნია, რომ დაწესებულებაში ყაზარმულ რეჟიმზე მყოფი თანამშრომლებისთვის რთული სამუშაო პირობებით შექმნილი სტრესის შემსუბუქების მიზნით, რეკომენდირებულია მათ ჰქონდეთ ოჯახთან და ახლობლებთან დამოუკიდებლად და არასამუშაო დროს, შეუზღუდავად დაკავშირების, მათ შორის ვიდეო-ზარის განხორციელების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N17 დაწესებულებაში ყაზარმულ რეჟიმზე მყოფი თანამშრომლების ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან დამოუკიდებლად და შეუფერხებლად დაკავშირების მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობები.